ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N22

2023 წლის 29 მარტი
ქ. ამბროლაური

შპს „ახალი ტრანსპორტის“ მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ახალი ტრანსპორტის“ მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

შ.პ.ს ,,ახალი ტრანსპორტი“

ქ.ამბროლაური

axalitransporti@gmail.com

N 5

27.02.2023წ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს

ბატონ ასლან საგანელიძეს

ბატონო ასლან,

გიგზავნით შ.პ.ს ,,ახალი ტრანსპორტი''-ს მიერ 2022 წლის თორმეტი თვის ანგარიშს, გაწეული საქმიანობის შესახებ (3 ფურცელი)

პატივისცემით,

ირაკლი უგრეხელიძე

შ.პ.ს ,,ახალი ტრანსპორტი“-ს.

დირექტორი.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

(2022 წლის 12 თვის ანგარიში)

მოგახსენებთ, რომ შ.პ.ს „ახალი ტრანსპორტი“ დაფუძნებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილით 2007 წლის 22 ივნისს N35 განკარგულებით. საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის შ.პ.ს „ახალი ტრანსპორტი“-ს თხოვების წესით გადმოცუმული გვაქვს 5 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, 3 (სამი) ერთეული ჩინური წარმოების , 1 (ერთი) ერთეული PAZ-ის ტიპის ავტობუსი და 1 ერთეული FORD TRANSIT -ის მარკის მიკროავტობუსი.

შ.პ.ს „ახალი ტრანსპორტი“ ემსახურება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ სამგზავრო გადაყვანის სვლა-გეზების ინტენსიობის გრაფიკის მიხედვით.

შემოსავლების გაზრდის (შენარჩუნების)მიზნით მონაწილეობა მივიღეთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში.ამბროლაურის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის მომსახურეობაზე მონაწილეობა მივიღეთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ 2 (ორი) ტენდერში. (CPV60100000 -საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები) განცხადების ნომრები:**NAT220011832**, **NAT210025498** რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 107884.00 ლარს .ასევე მივიღეთ მონაწილეობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში განცხადების ნომრები: **NAT220000984**,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა სამგზავრო გადაყვანის მომსახურებაზე ,რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 16999.32 ლარს.

ზემოაღნიშნულ პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად იჯარის წესით დაქირავებული გვყავს 7 (შვიდი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება რაზედაც გაფორმებული გვაქვს შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება.

2022 წლის 26 აპრილს შ.პ.ს „ელგრო მოტორსისგან“ შეძენილი იქნა 18 ცალი საბურავი, თანხით 7200.00 ლარი.

ივლისის თვეში 4 ავტობუსის და ერთი მიკროავტობუსის ტექნიკური დათვალიერების გავლის მიზნით 4 ავტობუსზე მოხდა საქარე მინის შეცვლა, რაზეც სუფსიიდიის სახით მუნიციპალიტეტიდან გამოგვეყო 7155.00 ლარი. რომელიც გაიხარჯა აღნიშნული საქარე მინაზე და ტექნიკურ დათვალიერებაზე.

2022 წლის ოქტომბრის თვეში აუქციონის წესით გაყიდული იქნა ორი ერთეული PAZ 32054 ტიპის ავტობუსი. თითო ავტობუსის ღირებულება შეადგენდა 4200 ლარს. სულ ჯამში 8400 ლარი.

შ.პ.ს ,,ახალი ტრანსპორტი“-ს 2022 წლის მდგომარეობით ფაქტიური შემოსავალი შეადგენდა 155410.68 ლარს. (ასორმოცდათხუთმეტიათასოხასათი ლარ და 68 თეთრი)

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფატიური ხარჯი შეადგინა 150959.15 ლარს.

ხოლო ნაშთი 01.01.2023 წლის მდგომარეობით 4451.53 ლარი.

შ.პ.ს ,,ახალი ტრანსპორტი"-ს მიზანია იყოს ტექნიკურად გამართული ტრანსპორტი რათა დროულად და უსაფრხოდ შეძლოს მზავრების დანიშნულ ადგილამდე მიყვანა.

შ.პ.ს ,,ახალი ტრანსპორტი"-ს.

დირექტორი : /ირაკლი უგრეხელიძე/